




კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
12 მარტი, 2018

ეკონომიკა

ტურიზმი: შსს-ს ინფორმაციით, 2018 წლის თებერვალში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, წინა წლის თებერვალთან შედარებით 19.8%-ით გაიზარდა და 0.44 მლნ ვიზიტორი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ტურისტების რიცხვი 27.1%-ით გაიზარდა და მთლიანი ვიზიტორების 40.3% შეადგინა. თებერვალში ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა შემდეგი ძირითადი ქვეყნებიდან: სომხეთი (+27.1%), თურქეთი (+28.1%), რუსეთი (+24.2%) და ირანი (+130.6%), ხოლო კლება დაფიქსირდა აზერბაიჯანიდან (-2.2%). ამასთან, ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირის ქვეყნებიდან (+13.8%). ჯამურად, 2018 წლის პირველ ორ თვეში, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 17.2%-ით გაიზარდა და 0.89 მლნ შეადგინა, ხოლო ტურისტების ზრდა 24.9% იყო და 0.37 მლნ ადამიანს მიაღწია.

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2018 წლის თებერვალში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წინა წლის თებერვალთან შედარებით 241.4 მლნ აშშ დოლარით (+8.7%) გაიზარდა და 3.0 მლრდ აშშ დოლარით შეადგინა. ამასთან, წინა თვესთან შედარებით რეზერვები 46.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (-1.5%).




ეკონომიკური ინდიკატორები			
	2M18	2017	2016
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.4% ⁽²⁾	4.8%	2.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	10,644	10,043
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	3,865
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.7%	6.7%	1.8%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.0	2.8
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	7.1% ⁽¹⁾	12.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.9%	4.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	44.7%	44.6%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

1)2017 წლის პირველი ცხრა თვის მდგომარეობით

2)2018 წლის პირველი თვის მდგომარეობით



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: წინასწარი შეფასება 4Q17-თვის

- საერთაშორისო რეიტინგები, 2017-18**
- ბიზნესის კეთების სიმარტივე №9 (საუკეთესო 10-ეული)
 - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
 - გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №67

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB- სტაბილური დადასტურებული მასივი-2017	 Ba2 სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2017	 BB- სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2017
---	---	---


წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლის 7 მარტს 1-წლიანი 40 მლნ ლარის (16.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.329% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2018 წლის 14 მარტს, სადაც 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები და 182-დღიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემი.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადავოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გაზარდებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 5.5%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 102.3 (-1.0% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ბანკის ლარში დენომინირებული ვერობლიგაცია GEBGG 06/20-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.5 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 10.7%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვერობლიგაციები GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 104.7 (-0.5% წინა კვირასთან შედარებით), 5.0%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 110.2 ფასად (-0.3% წინა კვირასთან შედარებით), 5.1%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 109.1 (-0.3% წინა კვირასთან შედარებით), 3.7%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა %)




წყარო: ბლუმბერგი

	Local bonds					Eurobonds				
	GWP 12/21	M2RE 10/19	Nikora 03/18	Nikora 06/19	GLC 08/20	GEBGG 06/20	GEOROG 04/21	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	30*	25.0	5.0	10.0	10.0	500*	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	12/16	10/16	03/16	08/17	8/17	06-17	04/16	07/16	04/11	07/12
დაფარვის თარიღი	12/21	10/19	03/18	06/19	8/20	06-20	04/21	07/23	04/21	07/22
კუპონი, %	10.50*	7.5	11.0	9.0	7.00	11.0	6.750	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/Moody's	BB-/-	-/-	-/-	-/-	n/a	BB-/-/Ba2	BB-/B+/-	BB-/-/B1	BB-/BB-/Ba2	B+/B+/-
საშუალო ფასი, აშშ \$	n/a	103.0	101.3	101.3	101.13	100.5	104.9	102.3	109.1	110.2
საშუალო პროცენტი %	n/a	5.5%	8.5%	3.8%	6.50%	10.7	5.0	5.5	3.7	5.1
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	346.1	233.5	269.7	103.0	233.5

წყარო: ბლუმბერგი
*GWP 12/21 და GEBGG 06/20 მოცემულია ლარში
** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3.5%)

Georgian Eurobond universe



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba2	109.1	3.7	103.0
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/BB+/Ba2	101.0	4.6	173.1
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/BB+/Baa2	116.6	0.0	-31.0
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba2	110.9	1.2	90.3
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	109.2	3.2	48.2
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	111.7	3.5	78.0
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BBB-/Ba1	103.9	3.1	52.4
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BB+/BB/Ba2	104.0	4.2	153.1

წყარო: ბლუმბერგი




აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 34.80 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.58% წინა კვირასთან შედარებით და +1.69% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 396 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 32.94 – 35.32 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 92 ათასი აქცია შეადგინა. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 3.53%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 4.44%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 1.01% შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 18.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (+13.58% წინა კვირასთან შედარებით და +16.60% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 235 ათასს გადააჭარბა, GBP 16.06 – 18.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 34 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.27 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-1.06% წინა კვირასთან შედარებით და +0.46% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 49 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.20 – 3.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 9 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.04% შეადგინა.

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: ბლუმბერგი

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO	BGEO	34.8*	1,901	1.7%	3.7%	4.9%	-2.2%	18.9%
TBC	TBC	18.4*	1,367	16.6%	13.0%	13.6%	5.1%	29.6%
Halyk Bank	HSBK	14.75	4,055	21.4%	53.6%	53.3%	49.3%	128.3%
KKB	KKB	0.68	712	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	-54.7%
VTB Bank	VTBR	2.18	14,101	26.0%	20.0%	2.4%	18.9%	3.9%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	8.57	204	1.2%	-13.8%	-13.1%	-1.5%	-31.5%
Sberbank	SBER	19.93	107,557	10.0%	23.6%	43.9%	17.7%	84.4%

*BGEO და TBC აქციების ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	3.265*	596	0.5%	-6.7%	-6.7%	-8.0%	-6.0%
Mouwasat	MOUWASAT	46.44	2,322	0.3%	9.4%	8.2%	15.0%	17.8%
Fortis	FORH	2.24	1,160	-2.9%	-1.7%	-7.2%	-11.0%	-16.5%
Raffles	RFMD	0.88	1,562	7.8%	11.5%	12.0%	5.3%	-10.9%
IHH	IHH	1.55	12,767	3.2%	12.5%	11.1%	7.4%	16.7%
Bangkok Chain	BCH	0.52	1,298	2.2%	6.8%	15.7%	4.6%	48.4%
Netcare	NTC	2.18	3,200	4.0%	31.8%	16.0%	7.2%	-6.3%

*GHG აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვრებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზარაბული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განქორციელება დადგენილი ვადების გარეშე შეიძლება იქნას დანაშაული და დასჯილი იქნას.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge